სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 208

2022 წლის 16 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N200 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის N196 ბრძანების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1461516, 16.11.2022წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N200 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეგისტრაცია ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS [Grants Management Unified System] (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge) – 2022 წლის 7 ნოემბრიდან - 2022 წლის 19 ნოემბრის 16:00 საათამდე;"

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში- ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი